



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა N 33

ქ. გარდაზანი



31/10/2022

33-06-4-202210311627

გარდაზნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების ტერიტორიაზე შპს „მედსერვის ჯორჯიას“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №81.07.04.216) სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრის, კვლევითი ინსტიტუტის, საცხოვრებელი ობიექტების, სასტუმროს, სავაჭრო ცენტრისა და სასაწყობე ფართის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმის დამტკიცების შესახებ“

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ პუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 41-ე და 43-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 3 ივნისის №260 დადგენილებით დამტკიცებული „სივრცის დაგეგმარებისა და ქალაქთმშენებლობითი გეგმების შემუშავების წესის“ მესამე მუხლის მე-6 პუნქტის, მე-15 მუხლის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და მე-19 მუხლის პირველი და მესამე პუნქტების საფუძველზე გარდაზნის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს გარდაზნის მუნიციპალიტეტის სოფელ გამარჯვების ტერიტორიაზე შპს „მედსერვის ჯორჯიას“ კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ს.კ. №81.07.04.216) სამედიცინო სარეაბილიტაციო ცენტრის, კვლევითი ინსტიტუტის, საცხოვრებელი ობიექტების, სასტუმროს, სავაჭრო ცენტრისა და სასაწყობე ფართის მშენებლობისათვის განაშენიანების დეტალური გეგმა, თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მიხეილ გედეხაური

საკრებულოს თავმჯდომარე